ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2951456

ნომერი: AR1457106

თარიღი : 16.11.2016

გაცემის თარიღი : 06.12.2016

გაცნობის თარიღი : 06.12.2016

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ქვიშხეთი , N 1ბ / ქალაქი თბილისი , ქუჩა ვარდისუბანი , N 6 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- შორენა კიკვაძე პ/ნ 01001002359
- ილორის ქ20 ბ4

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 05.07.2016 წლის №2685067 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებაზე უარის თქმის თაობაზე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 16/11/2016 წლის # AR1457106 განაცხადით მომართა შორენა კიკვაძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 05.07.2016 წლის

№2685067 ბრძანებაში დაშვებული ტექნიკური შეცდომის გასწორება.

სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ 05.07.2016 წლის №2685067 ბრძანებით, ქ. თბილისში, ქუჩა ქვიშხეთი, N1ბ / ქ. თბილისში, ქუჩა ვარდისუბანი, N6, თანასაკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს.კ. N01.12.08.006.018) შეთანხმდა მრავალბინიანი საცხორებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი.

განმცხადებელი, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მითითების საფუძველზე ითხოვს მშენებლობაზე აღმოჩენილი დარღვევების გამოსწორებას. ამასთან, მის მიერ წარმოდგენილია გეგმა-ნახაზები და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2016 წლის 16 ნოემბრის #002046 მითითება.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურმა, „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“-ს 25-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, დამრღვევის მიმართ, მითითების გაცემით დაიწყო სამართალდარღვევის საქმის წარმოება. 2016 წლის 16 ნოემბრის #002046 მითითების დანართში დაფიქსირებულია რამდენიმე სახის დარღვევა.

აღნიშნული დარღვევების გამოსასწორებლად საჭიროა განაცხადი დაყენებულ იქნას კორექტირებული არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის თაობაზე.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდესის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას, განცხადებაში მითითებული საკითხი განიხილოს, როგორც ტექნიკური ხარვეზი და გაასწოროს იგი.

შესაბამისად, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. არ დაკმაყოფილდეს შორენა კიკვაძის 16/11/2016 წლის # AR1457106 განცხადება;
2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, შარტავას ქუჩა #7), მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.